მოწყვიტე ვარსკვლავი Shooting Stars

ხათუნა მზარელუა
By Khatuna Mzarelua

ფრანგი მოცეკვავეებისა და ქორეოგრაფების, ლორანს იადისა და ნიკოლა კანტიონის ახალი ქმნილების, Shooting Stars-ის პრემიერა ამ შემოდგომაზე, ჟენევის ცეკვის ფესტივალის, La Bâtie-ის ფარგლებში შედგა. მასში სამი პროფესიონალი მოცეკვავე ქალიშვილია დაკავებული. Shooting Stars არის

The Premiere of the new creation *Shooting Stars* by French dancers and choreographers Laurence

ლორანს იადი, ნიკოლა კანტიონი. ნიკოლა რობელის ფოტო
LAURENCE YADI, NICOLAS CANTILLON, PHOTO BÜLBOOKS-NICOLAS ROBEL

ამბავი მოწყვეტილი ვარსკვლავების ცასა და მიწას შორის მოგზაურობაზე. რამდენი რამ შეიძლება მოხდეს ამ გზაზე, რამდენი ვინმე გაიცნო, რამდენი რამ აღმოაჩინო, რამდენს აგრძნობინო, რომ ვარსკვლავი ხარ დაბოლოს გაირინდო გაქრობამდე. თითოეული მოცეკვავე ერთი ამგვარი ვარსკვლავის ამბავს „ყვება." სცენაზე თავიდან ვხედავთ ნისლში გახვეულ ქალიშვილებს, რომლებიც ძალიან ნელი და მოქნილი მოძრაობებით იწყებენ „თხრობას". ნაბიჯ-ნაბიჯ, მოკრძალებით, სვენებ-სვენებით, მაგრამ ჯიუტად, მოცეკვავეები ერთმანეთს შორდებიან და შემდეგ სცენაზე სათითაოდ გამოდიან. მარტო დარჩენილი ვარსკვლავის ცეკვა უფრო თავისუფალი და გამომხატველია. უფრო მკვეთრიც. ბოლოს სამივე ისევ ერთად შეიყრება აჩქარებული მუსიკის ქვეშ და მკაფიო კონტურების მქონე, თითქოს ამბოხებული მოძრაობებით მიიწევს რაღაც ჩვენთვის აუხსნელისკენ. მიუხედავად ცეკვის უხმაურო დასასრულისა, ფაქიზი, მაგრამ გაბედული, უშიშარი და მოუხელთებელი ვარსკვლავების (და ცეკვის) ამბავი ჩვენში, მაყურებლებში გრძელდება.

ამ ცეკვაზე შეიძლება ითქვას: უწონადო, ტალღისებრი, დაკლაკნილი, ჯიშიანი, კოსმიური, გრაფიკული, ორნამენტული, თავდაჯერებული, ვნებიანი, სასურველი, ექსტაზთან ახლოს, რწევით, მოჩუქურთმებული, ხავერდოვანი, რბილი, პოეტური, ჰიპნოზური, მგრძნობიარე, უახლესი, უჩვეულო, ძლიერი, უხვი.

ლორანს იადი და ნიკოლა კანტიონი სწორედ ზემოხსენებული ეპითეტებით შემკულ ცეკვის სტილს ავითარებენ, რომელსაც ქართველი მაყურებელი პირველად ორი წლის წინ გაეცნო, თანამედროვე ცეკვისა და ექსპერიმენტული ხელოვნების სამხრეთ-კავკასიური ფესტივალის ფარგლებში, თბილისში. მაშინ ხელოვანებმა მათი ერთ-ერთი უახლესი ქორეოგრაფიული ნაწარმოები, Nil ჩამოიტანეს. ეს სტილი, სახელად Multi styles FuittFuitt, შთაგონებულია შუა აღმოსავლური კულტურით. ის ძალიან მუსიკალურია. ის სხეულით მაკამების ცეკვაა. მაკამი არის ტონალობის მეოთხედი შუა აღმოსავლეთის მუსიკაში. ხდება სხეულით ამ ტონალობის გადმოტანა ცეკვაში. ტონალობებს შორის ცეკვა. მოძრაობებს შორის ცეკვა. აღსანიშნავია, რომ ლორანსი მამით ალჟირელია, ნიკოლამ კი ცეკვა 18 წლის ასაკში, ალჟირელი ძმების მიერ დაარსებულ ბალეტის კომპანიაში დაიწყო. 1993 წელს აქვე გაიცნო ლორანსიც. ეს უკანასკნელი იხსენებს, რომ თავის არაბულ ფესვებს საკმაოდ გვიან, ოცი წლის ასაკში მიაგნო/მიეახლა. როცა პატარა

Yadiand Nicolas Cantillon was held at the Geneva Dance Festival La Bâtie this autumn. The plot of the creation is the story of the travels of stars torn between the sky and the ground. The performance includes three professional female dancers. How powerful this trip can be – you may encounter different adventures, meet various people, discover new things, make people feel that you are a genuine star and eventually, become silent till you disappear... Each dancer "expresses" the story of such a star. In the beginning, we see the girls on stage surrounded by mist, as they start telling the story by moving very slowly and flexibly. Step by step, with modesty, yet persistently, they are moving apart and appear on the stage one by one. The dance of the star, being solely on stage is freer and more expressive and drastic. Later, three of them are gathering under the accelerated music and are moving towards something unexplainable with rebellious movements. Even though the dance accomplishes silently, sophisticated yet brave, daring a bit elusive story of the stars (and the dance) continues in our – the spectators – minds.

This dance can be referred to as weightless, wavy, twisted, sophisticated, cosmic, graphic, ornamental, confident, passionate and full of desire, close to ecstasy, embossed, velvety, soft, poetic, hypnotic, sensitive, contemporary, unusual, powerful and generous.

Laurence Yadi and Nicolas Cantillon are pursuing the dance style mentioned above. The Georgian audience also had a chance to experience it two years ago in *South Caucasus Contemporary Dance and Experimental Art Festival* in Tbilisi. The choreographers brought one of their latest choreographies – *Nil*. This style, under the name of *Multi styles FuittFuitt*, was inspired by the culture of the Middle East, which is deeply musical and embodies the dance of Maqam with the body. Maqam is the fourth key in the Middle East's music and the body transfers the key with the movements into dance or dances among the keys. It should be noted that Laurance's father is originally from Algeria, and Nicolas started dance at the age of 18 in a Ballet Company established by Algerian brothers. This was the place where he met Laurence in 1993. Laurence remembers that she encountered her Arabic roots quite late, at the age of twenty. When she was little and her father was listening to the Algerian songs in his car, the girl was ashamed because of him. She refusedto put on the Djellaba. However, once she grow up and learned more about

იყო და მამა მანქანაში ალჟირულ სიმღერებს უსმენდა, გოგონას მამის გამო რცხვენოდა. არც ჯელაბას ჩაცმა უყვარდა. თუმცა გაიზარდა, საკუთარი თავი უკეთ შეიცნო, არაბული კულტურა აღმოაჩინა და ახლა ფრანგული და არაბული კულტურების შვილად თვლის თავს. არაბულ ქალაქ ბეირუთს უკავშირდება ლორანსისა და ნიკოლას სიყვარულის ისტორიაც და მას შემდეგ როგორც სცენაზე, ისე ცხოვრებაში ერთად არიან.

ნება მომეცით, ცოტა ხნით წარსულში გადავინაცვლო. გასული საუკუნის70-იან წლებში საფრანგეთში წარმოიშვა და განვითარდა თანამედროვე ცეკვის ახალი მიმდინარეობა – „ახალი ფრანგული ცეკვა“.მის სათავეში მდგომ ქორეოგრაფებს სურდათ შეექმნათ ისეთი საცეკვაო ენა, რომელიც გაემიჯნებოდა როგორც „მოდერნ დანსს“, ისე პარიზის ნაციონალური ოპერის ბალეტის ტექნიკას, თუმცა არ მოერიდებოდა არსებული ტექნიკების თავის ყაიდაზე გადასხვაფერებასა და მათი ამ სახით გამოყენებასაც. „ახალი ფრანგული ცეკვის“ განვითარებაში დიდი როლი

herself, she rediscovered Arabic culture and now she recognizes herself as a mutual daughter of the Arabic and French cultures. The story of Nicholas and Laurence's love is also connected with the Arabic city of Beirut. Since their meeting in Beirut, they have been together on stage, as well as in real life.

Let us go back for a while... in the late 70th of the 20th century's France was born and developed a new style ofcontemporarydance – *New French Dance*. The staging choreographers wanted to create a language for dance which would be different from "modern dance" as well as the ballet technique prevailed in the Opéra National de Paris. However, they did not hesitate to transform those existing techniques. The Ministry of the Culture of France played a crucial role in the further development of the *New French Dance* by undertaking the policy in the 80th – namely, establishing the national chorographical centers. The Ministry appointed innovative choreographers as leaders of these centers in order them to conduct research in the dance field and present the results

მარგო მონეტი
გრეგორი ბატარდონის ფოტო
MARGAUX MONETTI
PHOTO GREGORY BATARDON

შეასრულა საფრანგეთის კულტურის სამინისტროს მიერ 80-იანი წლების დასაწყისში გატარებულმა პოლიტიკამ. კერძოდ, მისი პატრონაჟის ქვეშ, ნაციონალური ქორეოგრაფიული ცენტრების გახსნამ. ამ ცენტრების ხელმძღვანელებად დანიშნეს ყველაზე ნოვატორი ქორეოგრაფები, რათა მათ სათანადო პირობებში წარემართათ ცეკვის სფეროში კვლევაძიება და მისი ნაყოფი კი რეგიონების მოსახლეობისთვის წარედგინათ. ამით, რა თქმა უნდა, ცეკვის პოპულარიზაციის საქმეში უდიდესი ნაბიჯი გადაიდგა. არ უნდა დავივიწყოთ ორი უმნიშვნელოვანესი ფაქტიც: ახალი მიმდინარეობის განვითარებას ხელი შეუწყო 1977 წელს დაარსებულმა ანჟერის თანამედროვე ცეკვის ნაციონალურმა ცენტრმა და ყოველწლიურმა ბანოლეს ცეკვის კონკურსმა. „ახალი ფრანგული ცეკვის“ საუკეთესო წარმომადგენლები არიან: მაგი მარენი, დომინიკ ბაგუე, კაროლინ კარლსონი, ჟან-კლოდ გალოტა, დანიელ ლარიო, ანჟელენ პრელჟოკაჟი, კარინ საპორტა, რეჟინ შოპინო და სხვები.

ლორანს იადი და ნიკოლა კანტიონი ამ ქორეოგრაფთა თაობების შემდეგ გამოვიდნენ სცენაზე. „გვსურდა მათგან განსხვავებულები ვყოფილიყავით, ჩვენი საკუთარი ხელწერის შექმნაზე გვემუშავა, სიახლეები შემოგვეტანა“, – ამბობს ნიკოლა, – „ამისათვის მივმართავდით ექსპერიმენტებს. თან გამუდმებით ვაკვირდებოდით მაყურებელს, რათა გაგვეგო, თუ რა უფრო მეტად მოსწონდა მას ჩვენს ცეკვაში“. ქორეოგრაფიულმა ცდებმა ლორანსი და ნიკოლა FuittFuitt-ის, ცეკვის ახალი სტილის შექმნასა და მის დამკვიდრებამდე მიიყვანა. ამ სტილს ახასიათებს სპირალისებრი მოძრაობები და ამ მოძრაობების ნელი შესრულება, მათი დანაწევრება, დაშლა და მერე ისევ გამთლიანება. მოძრაობების გამეორება. ცეკვაში სხეულის თითოეული ნაწილის, კუნთის, თითოეული ძვლის ჩართვა. რთული, ორნამენტული ჟესტები. ცეკვის დაუსრულებლობისა და ძლიერი სიმშვიდის შეგრძნება. თითქოს ჩვენ თვალწინ არაბული ანბანი იწერება თავისი ჩუქურთმებით, არაბესკებით. თითქოს მოცეკვავეები ამ ანბანის ასოები არიან. ჩვენ კი, მაყურებლებმა უნდა წავიკითხოთ, თუ რას წერენ ისინი. თითქოს მრავალრიცხოვანი მოძრაობები ერთ წიგნადაა აკინძული. „არ გვინდა სცენა ვაქციოთ იმ ადგილად, სადაც სამყარო ისეთი წარმოჩინდება, როგორიც ის დღეს არის“, – ამბობენ ახალგაზრდა ხელოვანები, – „FuittFuitt ჩვენი სამყაროს ტკივილებისადმი წინააღმდეგობის გაწევის ერთგვარი

in front of the audience. It was an important step forward in terms of promotion. We should also keep in mind two very important facts: the development of the new direction was promoted by the newly established (in 1977) National Center of Contemporary Dance in Angers, France and annual Bagnolet Dance Competition. The most influential representatives of the New French Dance are Maguy Marin, Dominique Bagouet, Carolyn Carlson, Jean-Claude Gallotta, Daniel Larrieu, Angelen-Preljocaj, Karine Saporta, Régine Chopinot, Odile Duboc, Philippe Decouflé and many more.

Laurence Yadi and Nicolas Cantillon appeared on stage after these generations of distinguished choreographers. “We wanted to be different from them, work for creating our own signature and bring new innovations”, says Nicolas. “This was the reason why we conducted a lot of experiments and at the same time, we were observing the audiences in order to catch what they liked the most in our performances”. Thanks to the chorographical experiments, Laurence and Nicholas ended up creating and establishing a new dance style – *Fuitt Fuitt*. This style characterizes with spiral-like, very slow movements which continue by their separation and eventual unification, which is concluded with the repetition. Each part, muscle and bone of the body is included in the ornamental gestures of the dance, and there is a breathtaking feeling of the endless and deep composure – as if we were eye witnesses of the process how the Arabic alphabet is recorded with its special carvings and arabesques. Each dancer symbolizes a letter from this alphabet and we, the audience, are supposed to read what is being written by them, like multiple movements are binding into a book. “We don’t want to turn the stage into a place where the world will be shown as it is now, *FuittFuitt* is our action against the pain derived from the world”, the choreographers are saying. Indeed, their recent choreographies are leading us to the land of secrecy, pleasure, dream and beauty, where dance never ends.

The music forShooting Stars belongs to Sir Richard Bishop and Maurice Louca. Sir Richard Bishop is a representative of the “ethnic-improv” and a brilliant guitarist (cooperates with the Laurence Yadi and Nicolas Cantillon Dance Company from the year of 2008). Maurice Louca is one of the most famous performers of the Egyptian experimental music and alternative stage. The costume

მოქმედებაა.“ მართლაც, მათ ბოლოდროინდელ ნამუშევრებს გადავყავართ იდუმალების, სიამოვნების, ოცნების, მოთმინების, სილამაზის მიწაზე, სადაც ცეკვა არასოდეს წყდება.

Shooting Stars-ის მუსიკა ეკუთვნით სერ რიჩარდ ბიშოპსა და მორის ლუკას. პირველი „ეთნო-იმპროვიზაციის“ სახელით ცნობილი მიმდინარეობის წარმომადგენელი ბრწყინვალე გიტარისტია (ლორანსისა და ნიკოლას ცეკვის კომპანიასთან 2008 წლიდან თანამშრომლობს). მეორე კი ეგვიპტური ექპერიმენტული მუსიკის, ალტერნატიული სცენის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სახეა. კოსტიუმების ავტორია ოლგა კონდრაშინა, რომელმაც ჟენევის ხელოვნების უმაღლეს სასწავლებელში მიიღო განათლება და მრავალმხრივი ხელოვანია. მოცეკვავეები კარიმა ელ ამრანი, ალინ ლოპეზი და მარგო მონეტი ცეკვავენ ევროპის სხვადასხვა კომპანიაში. მათ სპეციდესიგნი ოლგა კონდრაშინას ეკუთვნის, მრავალმხრივი ხელოვანი, რომელმაც ჟენევის ხელოვნების უმაღლეს სასწავლებელში მიიღო განათლება და მრავალმხრივი ხელოვანია. მოცეკვავეები კარიმა ელ ამრანი, ალინ ლოპეზი და მარგო მონეტი ცეკვავენ ევროპის სხვადასხვა კომპანიაში. მათ სპეციალობა ქორეოგრაფიაში აქვთ მიღებული და კარგად იცნობენ *FuittFuitt*-ის სტილს.

design belongs to Olga Kondrachina, versatile artist, who has graduated from the Geneva Hight School of Art and Design. Cast members Karima El Amrani, Aline Lopes and Margaux Monetti regularly perform with various European dance companies, have special education in choreography and are familiar with the *FuittFuitt*.

ალინ ლოპეზი
გრეგორი ბატარდონის ფოტო
ALINE LOPEZ
PHOTO GREGORY BATARDON

მოწყვიტე ვარსკვლავი
გრეგორი ბატარდონის ფოტო
SHOOTING STARS
PHOTOS GREGORY BATARDON

ალური საცეკვაო განათლება აქვთ მიღებული და FuittFuitt-საც ფლობენ.

2003 წელს, ლორანს იადიმ და ნიკოლა კანტიონმა კომპანია7273 დაარსეს და მას შემდეგ ოცამდე ქორეოგრაფიული პიესა შექმნეს, მათთან ერთადკი მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში იმოგზაურეს. ისინი დიდ დროს უთმობენ ცეკვის სფეროში სემინარების ორგანიზებასაც როგორც შვეიცარიაში (სადაც დამკვიდრდნენ), ისე მის ფარგლებს გარეთ. ხელოვანებს რეგულარულად იწვევენ მათი Multi styles FuittFuitt-ის მოცეკვავეთათვის თუ მოყვარულთათვის სასწავლებლად. თუმცა, როგორც ქორეოგრაფები ამბობენ, FuittFuitt-ის ფლობა გარკვეულ ფიზიკურ და გონებრივ მონაცემებს საჭიროებს. ცეკვის ამ სტილს მათ, 2014 წელს, წიგნიც მიუძღვნეს. ლორანს იადი და ნიკოლა კანტიონი არიან სხვადასხვა პრიზის მფლობელები, მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟულია ცეკვისა და ქორეოგრაფიის შვეიცარიული პრიზი და, ასევე, ფონდ Liechti-ის პრიზი ხელოვნებისთვის.

მანამ, სანამ ლორანს იადი და ნიკოლა კანტიონი კვლავ ეწვევიან საქართველოს და მაყურებელს ახალი ქმნილებით მონუსხავენ, ციფრული ერის შესაძლებლობებით ვისარგებლოთ და, სახლიდან გაუსვლელად, ვიხილოთ, vimeo-ს საშუალებით, მათი ბოლო ნამუშევარი.

ცნობილი შვეიცარიული გაზეთი Le Temps ფრანგი ხელოვანების ქორეოგრაფიულ ქმნილებებს თავბრუდამხვევს უწოდებს.

ნახე Shooting Stars. შეიგრძენი ცეკვა. მოწყვიტე ვარსკვლავი.

In 2003, Laurence Yadi and Nicolas Cantillon established Company 7273 and from since then, they have staged around twenty choreographic creations and have travelled in different countries of the world. They pay special attention to organizing seminars and workshops in the dance field in Switzerland and beyond. They are often inviting artists to teach *Multi styles Fuitt Fuitt* to dancers and amateurs. However, according to the choreographers, performing *Fuitt Fuitt* demands special mental and physiological conditions. They even dedicated a book to this style of dance in 2014. Laurence Yadi and Nicolas Cantillon have received different prizes, including one of the most prestigious Swiss Prize for Dance and Choreography and Lietchi Prize for the Arts.

Before they visit Georgia and charm the audience again with their new creation, we have a chance to enjoy advantages offered by the digital era and take a look at their latest work via Vimeo.

Famous Swiss magazine *Le Temps* refers to the French choreographers' creations as "fetching".

Watch Shooting Stars. Feel the dance and catch a star.